



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ახალქალაქის მუნიციპალიტეტის**  
**საპროექტო**



**ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა**

N 22 14

07/11/2019

**2020 წლის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონების თაობაზე**

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 1 ნოემბრის №514 დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების ფარგლებში, 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტი განისაზღვროს შემდეგი სახით:

2020 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	რეგ. ფონდი		
	ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება	რეგ. ფონდი	სულ
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა საავტომობილო გზის ვაჩიანი-ოკამის რეაბილიტაცია I ეტაპი	23,243	441,627	464,870
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის შიდა საავტომობილო გზის ვაჩიანი-ოკამის რეაბილიტაცია II ეტაპი	61,553	1,169,509	1,231,062

შიდა საავტომობილო გზის სოფ.არაგვა-ზაკვი- ბულაშენის რეაბილიტაცია	20,250	384,750	405,000
ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზიდან სულდა - მიასნიკიანი, ერინჯა- დავნია - ხვეთი გზის რეაბილიტაციის (რკინა-ბეტონის საფარის მოწყობა)მონაკვეთის სულდა- მიასნიკიანის I და II ეტაპი	60,111	1,142,115	1,202,226
<b>სულ</b>	<b>165,157</b>	<b>3,138,001</b>	<b>3,303,158</b>

2. ნება დაერთოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტს მერს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორციელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად.

3. დაევალოს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერს:

ა) 2020 წლის ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში გაითვალისწინოს პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები;

ბ) პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულებით გათვალისწინებული თანხების განკარგვა განხორციელდეს „2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემთხვევაში.

ნაირი ირიციან

საკრებულოს თავმჯდომარე

